დამტკიცებულია
შპს გარეჯის კერძო სკოლა ,, ლამარიას “
  დირექტორის მიერ ბრძანება N 3/14 20.04.2026

განხილულია

შპს -გარეჯის კერძო სკოლა ,,ლამარიას”- N1 პედაგოგიურ საბჭოზე

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

შპს გარეჯის კერძო სკოლა ,, ლამარია“

2026-2027 სასწ.წელი

შესავალი

პროგრამის სახელწოდება: საბაზო საფეხურის კურიკულუმი
პროგრამის განხორციელების ენა: სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.
კლასები: საბაზო საფეხური მოიცავს VII-IX კლასებს.
განათლების დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგები.

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. საგარეჯო. ერეკლე მეფის ქ 94

საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და მხარდაჭერას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე (აკადემიური, პროფესიული) სწავლის გაგრძელებისთვის ან პროფესიული საქმიანობისთვის;

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

1. სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს და სრულდება 15 ივნისს.
2. I კლასისთვის სულ 156 სასწავლო დღეა (I სემესტრი: 74 სასწავლო დღე; II სემესტრი: 82 სასწავლ
კლასი სწავლას ასრულებს 27 მაისს.
3. II-XI კლასისთვის სულ 169 სასწავლო დღეა (I სემესტრი: 74 სასწავლო დღე; II სემესტრი: 95 სასწ

4. XII კლასისთვის სულ 152 სასწავლო დღეა (I სემესტრი: 74 სასწავლო დღე; II სემესტრი: 78 სასწავ
კლასი სწავლას ასრულებს 20 მაისს.

5. სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი დანართი N1.1 სახით თან ერთვის.

გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)

N	I კლასი	II კლასი	III – XII კლასები
1	09:30 - 10:05	09: 30 - 10:10	09: 30 - 10:15
2	10:15 - 11:00	10:20 - 11:00	10:25 - 11:15
3	11:10 - 11:45	11:10 - 12:55	11:25 - 12:05
4	11:55 - 12:30	12:00 - 12:40	12:10 - 12:55
5	12:45 - 13:20	13:00 - 13:40	13:15 - 14:55
6		13:50 - 14:30	14:10 - 14:55
7			15:05 - 15:50

სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

ა) სახელმწიფო ენა

გრამატიკა	**მორფოლოგია** *<u>ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:</u>* სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია. ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები; სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა). *<u>ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:</u>* ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის); თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული); კავშირი და მისი ჯგუფები; ნაწილაკი და მისი ჯგუფები; შორისდებული და მისი ჯგუფები. **სინტაქსი** სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები - შეთანხმება, მართვა, მირთვა; წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები; წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
ჟანრი	მხატვრული ჟანრები არამხატვრული ჟანრები
კომპოზიცია	კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები ვერბალური სტრუქტურული ელემენტები არავერბალური სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები	ლექსიკა, სტილი - ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები რიტორიკის ელემენტები, რიტორიკული ხერხები
კონტექსტი	კონტექსტური ფაქტორები
საკომუნიკაციო სიტუაცია	სიტუაციური ფაქტორები კომუნიკაციის ტიპები

ბ) მათემატიკა

მათემატიკური მოდელი	**რიცხვები და მოქმედებები** რიცხვი (მთელი რიცხვი, რაციონალური რიცხვი, ირაციონალური რიცხვი, ნამდვილი რიცხვი) რიცხვითი სიმრავლეები; ოპერციები სიმრავლეებზე; რიცხვის მოდული მოქმედებები რიცხვებზე, (ხარისხი, ფესვი, არითმეტიკული ფესვი) გამოთვლა, შეფასება პროცენტი (მარტივი პროცენტი, რთული პროცენტი, პროცენტული ცვლილება) **ალგებრა** ალგებრული გამოსახულება (უცნობი, ცვლადი, ერთწევრი, ორწევრი, მრავალწევრი, ალგებრული წილადი) ფორმულა (შემოკლებული გამრავლების ფორმულები); განტოლება (წრფივი განტოლება, კვადრატული განტოლება, რაციონალური განტოლება); უტოლობა (წრფივი უტოლობა, კვადრატული უტოლობა); ასახვა, მიმართება, ფუნქცია, გრაფიკი (წრფივი ფუნქცია, კვადრატული ფუნქცია) სისტემა (წრფივ განტოლებათა სისტემა); მიმდევრობა (არითმეტიკული პროგრესია, გეომეტრიული პროგრესია) **გეომეტრია და ზომები** გეომეტრის ძირითადი ცნებები

	ბრტყელი ფიგურები და მათი ელემენტები (სამკუთხედი, სამკუთხედების კლასიფიკაცია, ოთხკუთხედი, ოთხკუთხედების კლასიფიკაცია, მრავალკუთხედი, წრე, წრის ელემენტები) ბრტყელი ფიგურის ზომები; პითაგორას თეორემა; სივრცული ფიგურები და მათი ელემენტები (მრავალწახნაგა, ბრუნვითი სხეულები) გეომეტრიულ ფიგურათა ტოლობა, გეომეტრიულ ფიგურათა მსგავსება; გაზომვა, ზომის ერთეული და საზომი ხელსაწყოების გამოყენება; (სიგრძე, ფართობი, მოცულობა); საკოორდინატო სიბრტყე, კოორდინატი და მისი გამოყენება; ანალიზური გეომეტრია და გარდაქმნები; ვექტორი, მოქმედებები ვექტორებზე ტრიგონომეტრიული თანაფარდობა მართკუთხა სამკუთხედში. **სტატისტიკა, ალბათობა** მონაცემი მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა მოპოვების წყარო, მონაცემთა შეგროვების საშუალება, მონაცემთა წარმოდგენა, შედეგების ინტერპრეტაცია) მონაცემთა წარმოდგენის საშუალებები (დიაგრამა, სქემა, ჰისტოგრამა) მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებელი; ალბათური მოდელები; (ხდომილობა, ხდომილობის ალბათობა)
კანონზომიერება	ალგებრული ოპერაციები და მათი თვისებები; ალგებრული გარდაქმნები; გამარტივება; ტოლფასობა, ეკვივალენტობა, იგივეობა გეომეტრიული ობიექტები და თვისებები; გეომეტრიული გარდაქმნები; (პარალელური გადატანა, სიმეტრია) სიდიდეებს შორის დამოკიდებულება, (სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება)
ლოგიკა	სიმრავლე, ოპერაციები სიმრავლეებზე (სიმრავლე (რიცხვითი სიმრავლე, ქვესიმრავლე, სიმრავლეთა

	გაერთიანება, სიმრავლეთა თანაკვეთა, ცარიელი სიმრავლე) ცნებათა შორის ლოგიკური მიმართებები; გამონათქვამი და ლოგიკური კავშირები; კლასიფიკაცია, დალაგება (ობიექტების, რიცხვების, ფიგურების, მონაცემების); საკლასიფიკაციო სქემები (ვენის დიაგრამა, ხისებრი დიაგრამა); მსჯელობა, დასაბუთება (რაოდენობრივი მსჯელობა, აბსტრაქტული მსჯელობა); სიტუაციების მათემატიკური მოდელირება; პრობლემის გადაჭრა (ლოგიკური მსჯელობითა და დასაბუთებით, ამოცანის ფორმულირება ან პრობლემის გადაჭრა);

გ) უცხოური ენები

ტექსტი	კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები; დისკურსული ჟანრები; წერითი კომუნიკაციის ჟანრები; ზეპირი კომუნიკაციის ჟანრები; ტექსტის სტრუქტურა; სტრატეგიები - კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები;
ჟანრი	კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები; წერითი კომუნიკაციის ჟანრები; ზეპირი მეტყველების ჟანრები - ტექსტის სტრუქტურა; სტრატეგიები: კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები.
სამეტყველო ქმედება	ფუნქციური სამეტყველო ქმედებები - ცალკეული ფუნქციური გამონათქვამები/გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობა ინტერაქციისთვის;
ენობრივი საშუალებები	ლექსიკა გრამატიკა სტრატეგიები - ლექსიკის და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები

კულტურათა დიალოგი	სოციოკულტურული რეალიები კულტურული არტეფაქტები ენაში აღბეჭდილი სამყარო

სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველი, მეორე და მესამე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობას.

	პირველი უცხოური ენა		**მეორე უცხოური ენა**		**მესამე უცხოური ენა**	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
VII-IX კლასების სტანდარტი	**B1.2**	**B1.1**	**A2.3**	**A2.2**		

დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები

დემოკრატია	ადამიანის უფლებები სამართლებრივი დოკუმენტები
საზოგადოება	საზოგადოებრივი ჯგუფი სოციალური ფენა დემოკრატიული კომპეტენციები „კულტურული სხვა“ საზოგადოებრივი ორგანიზაცია რელიგია (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი) იდეა, იდეოლოგია
მოსახლეობა, მეურნეობა	მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა

	მიგრაცია ჰუმანური განვითარების ინდექსი ურბანიზაცია; რურალიზაცია მეურნეობის დარგი
მდგრადი განვითარება	სოციალური პასუხისმგებლობა ციფრული მოქალაქეობა რესურსუზრუნველყოფა ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები; კატასტროფების რისკის მართვა.
სამოქალაქო მონაწილეობა	სამოქალაქო მონაწილეობის ტიპები სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები
ძალაუფლება	ძალაუფლების სიმბოლო მმართველობითი სტრუქტურა სახელმწიფოს ტიპები (მმართველობის, მოწყობის, რეჟიმის მიხედვით)
დრო	ისტორიული ეპოქა არქეოლოგიური პერიოდი
ისტორიული წყარო	წერილობითი წყაროები ნივთიერი მასალა აუდიო-ფოტო-ფონო მასალები
ისტორიული მოვლენა/პროცესი	ბრძოლა / ომი რეფორმა აჯანყება რევოლუცია დიპლომატიური მოლაპარაკება; ზავი, ხელშეკრულება
სივრცე	ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია საკულტო ქალაქი / ადგილი ცენტრი, პერიფერია
გეოგრაფიული მოვლენა / პროცესი	სეისმოლოგიური პროცესები ჰაერის მასების ცირკულაცია (ქარები, ციკლონები, ანტიციკლონები) გეოგრაფიული აღმოჩენები „ინდუსტრიული რევოლუცია“ გლობალიზაცია
გეოგრაფიული გარსი	გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებები (ზონალობა, აზონალობა, მთლიანიბა, რიტმულობა)

სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: საქართველოს გეოგრაფიას.

ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მატერია	ნივთიერების სტრუქტურა და მექანიკური თვისებები (ნივთიერების აგებულება, დრეკადობის თვისება, თბოგამტარობა, ელექტროგამტარობა, სინათლის მიმართ გამჭვირვალეობა); ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა (დნობა, გამყარება, ორთქლადქცევა, კონდენსაცია); ველის ზოგადი თვისებები (გრავიტაციული და ელექტროსტატიკური ველის შემთხვევაში).
ნივთიერება	ქიმიური ელემენტი, ატომი, მოლეკულა; მარტივი ნივთიერება; რთული ნივთიერება; ნარევი; ხსნარი, პროცენტული კონცენტრაცია; სტრუქტურული ფორმულა; კრისტალური მესერი; ფარდობითი ატომური მასა/ფარდობითი მოლეკულური მასა; მოლი; მასური წილი
ქიმიური ბმა	კოვალენტური ბმა, იონური ბმა, მეტალური ბმა, მარტივი ბმა, ჯერადი ბმა; წყალბადური ბმა.
ენერგია	სხეულისა და სისტემის ენერგია შინაგანი ენერგია
ძალა	გრავიტაციული ურთიერთქმედება; ელექტრული ურთიერთქმედება; ნიუტონის კანონები - ძალის მოქმედების შედეგები.
ფიზიკური პროცესი	ენერგიის შენახვა და გარდაქმნა იმპულსის შენახვა და ცვლილება მექანიკური მუშაობა თანაბარი მოძრაობა აჩქარებული მოძრაობა თბოგადაცემა ელექტრული მუხტების დინამიკა (მუდმივი დენის შემთხვევაში)

ფიზიკური და ქიმიური მოვლენები	გახსნა, გალღობა, გამყარება, აორთქლება, კონდენსაცია, სუბლიმაცია, გამოკრისტალება, გამოხდა; წვა, ჟანგვა, ნეიტრალიზაცია, ჰიდრირება, დეჰიდრირება, ჰალოგენირება, პოლიმერიზაცია; ქიმიური რეაქციის ტიპები.
სტრუქტურა და ფუნქცია	ნივთიერებების სტრუქტურა და ფუნქციები; უჯრედის სტრუქტურა და ფუნქცია ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქცია; ეკოსისტემის სტრუქტურა და ფუნქცია.
სასიცოცხლო თვისებები	სუნთქვა; კვება; გამოყოფა; გამრავლება; ზრდა- განვითარება; გაღიზიანებადობა; მემკვიდრეობითობა; ცვალებადობა; ჰომეოსტაზი; შეგუებულობა
ბიომრავალ ფეროვნება	მიკროორგანიზმთა მრავალფეროვნება მცენარეთა ჯგუფები ცხოველთა ჯგუფები ბიომრავალფეროვნების გენეტიკური, ევოლუციური, ეკოლოგიური მიზეზები.
ჯანმრთელობა და დაავადება	ჰიგიენა; ჰომეოსტაზი; სიმპტომი; იმუნიტეტი; დაბალანსებული კვება; ფიზიკური აქტივობა ადიქცია

3) ესთეტიკური აღზრდა

სამიზნე ცნებები	**საბაზო**
ბგერა	**ბგერის თვისებები** გრძლიობა (მთელი, ნახევრიანი, მეოთხედი, მერვედი);

	სიმაღლე (რეგისტრები); სიძლიერე (ხმამაღლა - forte, ჩუმად - piano); ტემბრი (აკუსტიკური ბგერა, სინთეტური ბგერა); **შტრიხები (ბგერის მიღების ხერხები)** (legato; marcato, staccato); **ბგერის გრაფიკული გამოსახულებები;** **ალტერაციის ნიშნები** (დიეზი, ბემოლი).
რიტმი	**რიტმის ტიპები** (რიტმი თანაბარი გრძლიობებით, აქცენტირებული რიტმი, პუნქტირული რიტმი, **რიტმოფორმულები** (რიტმი სამწილადი; რიტმი ორწილადი; **ტემპი** (adagio; allegro; presto; largo) **რიტმული ფიგურაციები**
მელოდია	**მელოდიური სვლები** (აღმავალი, დაღმავალი, ნახტომებით, ტალღისებრი, ქრომატული); **ინტონაციური ფორმულები** (ბგერწერითი ინტონაციები, მიგრირებადი ინტონაციები, სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ინტონაციები); **სამეტყველო ინტონაციები** (თხრობითი ინტონაცია, კითხვითი ინტონაცია, ბრძანებითი ინტონაცია, სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ინტონაციები).
ჰარმონია	**ინტერვალები** (კონსონანსური; დისონანსური); **აკორდები** (კონსონანსური; დისონანსური)
ფორმა	**მუსიკის სტრუქტურული ერთეულები (**მოტივი); **მცირე ფორმები;** **ციკლური ფორმები (**კონცერტი; ვოკალური ციკლი).
ჟანრი	**მუსიკალური თეატრი** (ოპერა, მიუზიკლი, ბალეტი); **მსხვილი ვოკალურ ინსტრუმენტული ჟანრები** (ორატორია; კანტატა; რექვიემი); **ინსტრუმნტუკლი ჟანრები** (სიმფონია; სიმფონიური პოემა; პრელუდი; პიესა); **ვოკალური ჟანრები** (სიმღერა); **გამოყენებითი მუსიკა** (მუსიკა თეატრისთვის, საუნდტრეკი, ფონური მუსიკა); **აკადემიური ელექტრონული მუსიკის ჟანრი** (ემბიენტი; კონკრეტული მუსიკა); **პოპულარული ელექტრონული მუსიკის ჟანრი** (ტექნო; ჰაუსი);

	პოპ მუსიკის ჟანრები (დისკო, როკი, პროგრესული როკი).
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) - ხაზი:** სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური, შტრიხი. **ფერი:** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია კოლორიტი; **ფორმა:** ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული). **შუქ-ჩრდილი; განათება; ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.** **სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) -** კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ნაყში (pattern) (ელემენტების განმეორებადობა), რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია, პერსპექტივა (ხაზოვანი და ჰაეროვანი, სივრცე), ხედვის წერტილი).
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა -** ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, მონოტიპია, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები** - ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები** - ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული.
სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები	**ეპოქა / კულტურა / მიმდინარეობა / სტილი -** პრეისტორია, ძველი ცივილიზაციები, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, XVII-XIX საუკუნეები, მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება.

სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

- → ქართულ ფოლკლორს;
- → ქართულ აკადემიურ მუსიკას;
- → ქართულ ხელოვნებას.

ზ) სპორტი

ჯანსაღი ცხოვრების წესი	ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი ელემენტების / პრინციპების (ჰიგიენა, ფიზიკური აქტივობა, სწორი კვება, მავნე ჩვევები, უსაფრთხოების წესები დაცვა, დღის რეჟიმი) დაცვა.
ორგანიზებულობა და თვითკონტროლი	ემოციების მართვა, დისციპლინა, ჰიგიენა, უსაფრთხოების დაცვა, კვება, დასვენება, ფიზიკური ვარჯიში, ძირითადი წესების და სამართლიანი თამაშის წესების დაცვა. სამწყობრო მომზადება (მოწყობა, ბრუნები, სამწყობრო სიარული, მიდგმითი ნაბიჯებით გადაადგილება, სიარული, მოწყობა გადაწყობა); ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები (ზედა, ქვედა კიდურების, წელის ვარჯიშები); სპეციალური ვარჯიშები (სპორტის სახეობების მიხედვით).
ფიზიკური თვისებები	რბენა - 30 მეტრი ვაჟები 6.5 წამი გოგონები 7.5 წამი რბენა - 60 მეტრი ვაჟები 11.0 წამი გოგონები 12.0 წამი რბენა - 100 მეტრი ვაჟები 17.0 წამი გოგონები 18.5 წამი ადგილიდან სიგრძეზე ხტომა ვაჟები 1.10 მეტრი

	გოგონები 1.0 მეტრი მცირე ბურთის ტყორცნა ვაჟები 13-18 მეტრი გოგონები 8-13 მეტრი ხელებზე აზიდვა (გოგონები ასრულებენ 20-40 სმ. სიმაღლიდან) ვაჟები 15-20 გოგონები 15-20 მუცლის პრესი ვაჟები 20-30 გოგონები 20-25 ბუქნი ვაჟები 25-30 გოგონები 20-25 ლახტით ხტომა ვაჟები 15-25 გოგონები 15-20

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დანართი N2.2 სახით თან ერთვის საფეხურის კურიკულუმს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;

გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმავითარებელი შეფასება:

ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;

ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

VII -IX კლასებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

VII-IX კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებლის მიერ 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, კონვერტირება უნდა მოხდეს 10 ბალიან სისტემაში, შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 75 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 55 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდგი სახით: (55*10:75=7,3=7). მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით.

სკოლის მიერ (დანართი 2.3-ით) განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების რაოდენობები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად შესაძლებელია განმავითარებელი შეფასების გამოყენებაც.

შემაჯამებელი დავალების ფორმები შეიძლება იყოს - ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია, ნახატი და სხვა.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც უნდა შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე არ აღადგენს გაცდენილ შემაჯამებელი დავალებას, სემესტრული ქულა გამოიანგარიშება შემდეგი პრინციპით: მოსწავლის მიერ დაწერილი შემაჯამებელი დავალებების ჯამი გაიყოფა სემესტრის დასაწყისში საგნისათვის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობაზე, რაც გამოიწვევს სემესტრული ქულის დადაბლებას.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით:

ქულები	**შეფასების დონეები**	**შეფასების დონეების აღწერა**
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
9		
8	საბაზოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
7		
6	საბაზო	

5		მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში.

განმსაზღვრელი შეფასების სახეობები

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეები:
ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. სემესტრული ქულა შეიძლება ამაღლდეს გამოცდის საფუძველზე.
ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;
დ) საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასის და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში თუ გამშვებ სკოლაში არ ისწავლებოდა ეროვნული

სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანი, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რომლის საფუძველზეც მოხდება სემესტრული/წლიური ქულის გამოყვანა.

3. სხვა სკოლიდან გადმოსვლის შემთხვევაში, თუ მოსწავლეს საფეხურის მანძილზე რომელიმე კლასში კონკრეტულ საგანში მიღებული აქვს 5.0-ზე დაბალი შეფასება, მაგრამ საფეხურის ბოლო კლასში მოსწავლეს ამავე საგანში წლიურ ქულად აქვს 5.0 ან მეტი, ის ჩაითვლება საფეხურის ქულად ამ საგანში.

4. პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოსწავლე სწავლობდა განსხვავებულ საგნს/საგნებს, აღნიშნული საგნის პირველი სემესტრის შეფასება ხდება წლიური შეფასება. ჩვენს სკოლაში არსებული განსხვავებული საგნის მე-2 სემესტრის შეფასება - ქულა ჩაითვლება წლიურ შეფასებად.

5. საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი.

6. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა არის 5.0 ან მეტი, რაც აძლევს მას საშუალო საფეხურზე ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებელობას.

შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

2. თუ საბაზო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2026-2027 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**
- **სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა;**

საშემოდგომო გამოცდა და რემედიაციის პროგრამა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;

2. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას

თითოეული მოსწავლისათვის. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა რემედიაციის პროგრამის დაძლევისთვის.

3. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და უზრუნველყოფს რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევას.

4. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა სთავაზობს იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ. კურიკულუმის შინაარსს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

5. საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული ქულა ხდება საგნის წლიური ქულა;

6. სკოლაში საშემოდგომო გამოცდები ჩატარდება წერილობითი ფორმით შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე.

7. თუ მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზის გამო აქვს სწავლაში,
შეფერხება სხვადასხვა მიზეზით,
სათანადოდ ვერ ივითარებს ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს, სკოლა
სთავაზობს რემედიაციას, მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შე
მცირებას ან სრულად გადაჭრას რემედიაციის პროგრამაში ასევე, ჩაერთვებიან ის
მოსწავლეები,
რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან ისეთი ტიპის სირთულეებს, როგორიცაა არასაკმა
რისი სასკოლო მზაობა,
წაკითხულის გააზრება და სხვა. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მ
ოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. რემედიაციის
პროგრამა იქმნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროების მიხედვით.

ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. თუ საბაზო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე;

2. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა

1. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

2. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

დიაგნოსტიკური წერები

2026–2027 სასწავლო წელს VII კლასებში წელიწადში ორჯერ (ნოემბერში და ივნისში) დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ისეთ საგნებში, როგორიცაა:
1. პირველი უცხოური ენა;
2. მეორე უცხოური ენა;
3. მათემატიკა;
4. ქართული ენა და ლიტერატურა.

პირველი დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, 3 თვის განმავლობაში ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობები, რის შემდეგაც მოსწავლემ განმეორებით უნდა წეროს განმეორებითი დიაგნოსტიკური წერა.

დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერები გავლენას არ ახდენს მოსწავლის შეფასებაზე.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საათობრივი ბადე

მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე სკოლის ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, სკოლას შედგენილი აქვს დასწრებითი სწავლების სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.

დანართი 2.3 სახით თან ერთვის საბაზო საფეხურის საათობრივი ბადე.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც.

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2026-2027 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

1. **ქართული ცეკვის წრე;**
2. **საფეხბურთო კლუბი**
3. **ძიუდოს წრე;**
4. **ეკოკლუბი;**
5. **ქართული საგალობლების აკადემია;**
6. **საჭადრაკო კლუბი;**
7. **ლინგვა კლუბი (Lingua Club)**

არაფორმალური განათლება:

მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მას წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში. სკოლას მიაჩნია, რომ არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების განვითარებას.

2026-2027 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგი სახის სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობებს:

#	ორგანიზება	აქტივობის სახეობა	დრო
1	სკოლის ადმინისტრაცია და კათედრები	სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღება	სასწავლო წლის განმავლობაში
2	სკოლის ადმინისტრაცია	სხვადასხვა შემეცნებით გასართობი ღონისძიებების ორგანიზება	სასწავლო წლის განმავლობაში
3	სკოლის ადმინისტრაცია	თეატრებში სხვადასხვა სპექტაკლებზე დასწრება	კულტურული ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში
4	სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებელი	ექსკურსიები	კულტურული ღონისძიებები წელიწადში ორჯერ შემოდგომა, გაზაფხული
5	სკოლის ადმინისტრაცია დამრიგებლები,	საქველმოქმედო აქციები	სასწავლო წლის განმავლობაში
6	სკოლის ადმინისტრაცია	ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?	სასწავლო წლის განმავლობაში
7	სკოლის ადმინისტრაცია X-XI კლასების დამრიგებლები	გასვლითი ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით	სასწავლო წლის განმავლობაში
8	სკოლის ადმინისტრაცია X-XI კლასების დამრიგებლები	პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა და კონკრეტული პროფესიების გაცნობა	სასწავლო წლის განმავლობაში
9	კლასის დამრიგებლები, პედაგოგები	საახალწლო კარნავალი,	წელიწადში ერთხელ
10	კათედრები	გასვლითი გაკვეთილიები	წელიწადში ერთხელ
11	ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა	ამხანაგური თამაში კალათბურთში და ფეხბურთში სხვა სკოლებთან	სასწავლო წლის განმავლობაში

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

პროფესიის არჩევა - ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევას, არამედ იმასაც, თუ საზოგადოების რა ჯგუფთან (ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები, ფასეულობები და ცხოვრების წესი) მოახდენ იდენტიფიკაციას.

პროფესიის არჩევის პროცესი მოსწავლისათვის უფრო ნათელი და თანმიმდევრული გახდება თუკი შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელებს: რა უნდა? რა შეუძლია? საჭიროა?

პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

- ვინ უნდა გამოვიდეს;
- რომელ სოციალურ ჯგუფს უნდა რომ მიაკუთვნოს თავი;
- ცხოვრების როგორი სტილი სურს;
- რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა, მაგრამ თვითრეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას.

კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დამრიგებლის საათის ჩატარებას ასევე, უზრუნველყოფენ შეხვედრების ორგანიზებას მშობლებთან, სადაც მშობლები მოსწავლეებს გააცნობენ თავიანთ პროფესიებს, შესაძლებელია დაინტერესების შემთხვევაში სამუშაო ადგილის გაცნობაც.

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ) სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

დანართი 2.5 სახით თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული და სამინისტროსთან შეთანხმებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით.

საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სწავლება განხორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე.